CV

ვაჟა გიგაშვილი

დაიბადა 1936 წ. 15 ოქტომბერს, თბილისში.

განათლება:

1943 – 1954 მე-7 ვაჟთა სკოლა;

1953- 1954 ი. ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელი;

1955 – 1961 საქ. პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (სადიპლომო ნამუშევარმა გაიმარჯვა საკავშირო (სსრკ) კონკურსში;

სამუშაო გამოცდილება:

1961 -1965 „თბილქალაქპროექტში“ შოთა ყავლაშვილისა და ლადო მესხიშვილის სახელოსნოები. (პროექტები: ავლაბრის კომპლექსის დაგეგმარება, გმირთა მოედნის რეკონსტრუქცია, მოგებული კონკურსი - „ინტურისტის“ ოტელი სოხუმში);

1965 – 1971 მხატვ. კავშირის „სამხატვრო კომბინატი. ზურაბ წერეთლის ჯგუფიში (პროექტები: ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსის სრული დიზაინი, სოჭის სასტუმროები, სსრკ საელჩო არგენტინაში, „ტყის მუზეუმი“, რესტორანი „არაგვი“ და სხვ.

1955 – 1978 ალპინისტური, ეთნოგრაფიული, სანადირო ექსპედიციები: კავკასიონზე, ჩრდილოეთის ზღვაზე, კოლის ნახევარკუნძულზე, შუა აზიაში, პამირსა და ტიან-შანში...;

1971 წლიდან კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ რეზო თაბუკაშვილის დაარსებულ „მწერალთა კინო გაერთიანებაში“

განხორციელებული ფილმები: „გაზაფხულის საღამო“ (რეჟ. გ. ჭოხონელიძე), „მტრედი“ (რეჟ. ზ. თუთბერიძე), „მწვერვალი“ (რეჟ. მ. კოკოჩაშვილი), „იმედის მწვანე კუნძული“ (რეჟ. ომ. გვასალია), „სურამის ციხე“ (რეჟ. ს. ფარაჯანოვი), „ერთი კოვზი ღვინო“ ზ. თუთბერიძე), „სპირალი“(რეჟ. გ. ჭოხონელიძე), „ნიკა მთაში“ (რეჟ. ზ. თუთბერიძე), „ანთიმ ივერიელი“ (რეჟ. გ. ჭოხონელიძე).

1992 – 1994 კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

1990 – 1994 რუსთაველის საზოგადოების გაზეთ „მამულის“ მთავარი რედაქტორი;

1998 – 2002 ჭაბუა ამირეჯიბის დაარსებული გაზეთის „განახლებული ივერია“ - მთავარი რედაქტორი;

2007 – 2008 არჩილ გელოვანის “IKP” სტუდიის სამხატვრო საბჭოს წევრი;

სხვადასხვა დროს მონაწილეობდა ლიტერატურული კონკურსების ჟიურიში („საბა, „თრიალეთი“ და სხვ.);

2002 წლიდან თანამშრომლობდა ტელევიზიებთან...

მოგებული ტენდერები: ტვ. „იბერია“ ფილმი „ხელჩაქნეულთა თავშესაფარი“ (30 სერია), ტვ. „მე-9 არხი“ - ფილმი „წყეული კუთხე“ (12 სერია);

შეკვეთები: ტვ. „იმედი“ – „დათა თუთაშხია“ (გათანამედროვებული ვერსია, რეჟ. გ. ხაინდრავა), „ჯაყო“(გათანამედროვებული ვერსია, რეჟ. დ. ჯანელიძე), დოკ. ფილმი „საქართველო. 20 წელი“ (20 სერია , რეჟ. გ. ხაინდრავა). (2003 წლიდან ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო ყველა ეს პროექტი ჩაიშალა, დარჩა დაწერილი ზოგან 6 და ზოგან 4 სერია...

2014 მუშ. ისტ. ფ.-ის სცენარზე - „გორგასალი“ გ. შენგელაიასთან ერთად. ამჟამად დაწერილია სცენარის ნახევარი, მაგრამ მუშ. შეჩერებულია;

ლიტერატურული საქმიანობა:

1955 წელს ჟურნალ „დილაში“ იბეჭდება მოთხრობების სერია. შემდეგ იყო პერიოდი, როცა უარი თქვა რედაქციებთან ურთიერთობებზე იდეოლოგიური შეუთავსებლობის გამო, თუმცა მისი მოთხრობები ხელნაწერების სახით ტრიალებდა საკმაოდ ფართე წრეში...;

1970 წლიდან რეგულარულად იბეჭდება ჟ. გაზ.-ში: „ცისკარი“, „მნათობი“, „განთიადი“, „ლიტერატურულ საქართველო“, XX საუკუნე“, „ქომაგი“, „ახალი შვიდი დღე“, „ლიტერატურული გაზეთ“, „ლიტერატურული პალიტრა“. თარგმანები: „Литературная Грузия», «Дружба народов»

გამოცემული წიგნები: „ნადირობა ჩონ-ტაშში“, „დღე და ჟამი“, „თბილი ლოგინი და ცივი ღამე“, „მოთხრობები პოეტზე, რომელი იშვიათად წერდა ლექსებს“, რომანი „ერთი ვინმე ყაფლანიშვილი“, მოთხრობათა კრებულები...;

მიღებული აქვს ლიტერატურული ჯილდო „პენკლუბის ოქროს მედალი“ (2000 წ.).